ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №104

2015 წლის 30 ივლისი
ქ.ქობულეთი

წლიური საწყისი საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. ქ.ქობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზირი N114-ში მდებარე კულტურის სახლის სარგებლობის ქირა განისაზღვროს: 0-დან 1 საათამდე 300 (სამასი) ლარის ოდენობით, 1-დან 3 საათამდე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, 3 საათის ზემოთ 800 (რვაასი) ლარის ოდენობით, ხოლო სარეპეტიციო დრო 1 კვ. მეტრზე 1 საათი 0,20 ლარის ოდენობით. კულტურის სახლის პირველ სართულზე მდებარე 61,83 კვ.მ კაფის თვიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ.ქარცივაძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე